

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
წევრის მერაბ მახარაშვილის

ა ნ გ ა რ ი შ ი

გაწეული საქმიანობის შესახებ 2019 წლის 1 ნოემბრიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 01 ნოემბრიდან დღემდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 207 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „პატრიოტები ხალხის სამსახურში“. დავესწარი ფრაქციის 12 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 185 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის და სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის წევრი. დავესწარი ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 5 საკითხის განხილვაში.

მერაბ მახარაშვილი
29.10.2020

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მახარაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფელი მერეთი

2020 წლის 23 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

ფრაქცია „პატრიოტები ხალხის სამხურში“ თავმჯდომარე თამარ კოდოშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფორსი სპეციალისტი ხატია ჯალაბაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ფრაქციის თავმჯდომარე თამარ კოდოშვილი

დღის წესრიგი :

საკრებულოს წევრი მერაბ მახარაშვილის 2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 წლის 01 პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.


სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მერაბ მახარაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 01.11.2019 – 01.11.2020 პერიოდში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თანახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მერაბ მახარაშვილი აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება


მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვას: თამარ კოდოშვილი და სოფელ მერეთის მცხოვრებმა ავთანდილ გუდაძემ, მერაბ ბაიაძემ და მერაბ ელიაშვილმა .

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთმეხვედროებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე :  თამარ კოდოშვილი

საკრებულოს წევრი :  მერაბ მახარაშვილი

აპარატის უფროსი სპეციალისტი :  ნატია ჯალაბაძე